შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტში

ა.წ. 27 თებერვალს საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის მენეჯერი ბ-ნი გ. ყუბანეიშვილი შეხვდა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბ-ნ დ. რაზმაძეს. შეხვედრაზე მიღწეულია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ გორის მუნიციპალიტეტი გააგრძელებს შინმოვლის პროექტის დაფინანსებას 2014 წელსაც.

MEETING AT GORI MUNICIPALITY

On February 27, 2014 Caritas Georgia Health and Social Care Manage Mr. G. Kubaneishvili met with a Chairman of the Council of Gori Municipality Mr. D. Razmadze. During the meeting it was agreed that the Municipality will continue funding of the Home Care project in 2014.

8 მარტი დღის ცენტრში „ჰარმონია“

2014 წლის 7 მარტს დღის ცენტრში „ჰარმონია“ გაიმართა 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო დღესასწაული.
დღის ცენტრს ესტუმრა მუსიკოსი გ. ალავერდაშვილი, რომელმაც შეასრულა ცნობილი კომპოზიციები საქსოფონზე.
დღესასწაული ქალბატონებს მიულოცა საქართველოს კარიტასის დირექტორმა.
ხანდაზმულებმა მადლობა გადაუხადეს სტუმრებს თანადგომისა და ყურადღებისთვის.

INTERNATIONAL WOMEN'S DAY CELEBRATION

Celebration dedicated to International Women's Day was held at "Harmonia" Day Care Center on the 7th of March 2014.
Day care center was visited by musician-saxophonist G. Alaverdashvili, who performed famous compositions.
Director of Caritas Georgia congratulated the ladies on the occasion of International Womens Day..
Elderly wards of the Day Care Center thanked the guests for support and attention.

caritas GEORGIA

საქართველოს კარიტასი
Caritas Georgia

რჩევს სიცოცხლეს
Opting For life

№7
იანვარი- მარტი, 2014
January- March, 2014

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამა
Health and Social Care Program

აღმოაჩინე ქველმოქმედი შენში
დარეკეთ ნომერზე: 0 901 500 567
ზარის ღირებულება – 1 ლარი

თბილისი
ქურდიანის,3
ტელ/Tel: (995 232) 234 76 75
3, Kurdiani str., Tbilisi

გორი
ნინოშვილის ქ. 89
ტელ/Tel: (995 270) 27 49 57
89, Ninoshvili str., Gori

ქუთაისი
ნიუპორტის ქ.10
ტელ/Tel: (995 231) 24 35 50
10, Newport Srt., Kutaisi

www.caritas.ge დაგვიმეგობრდით ფეისბუქზე - საქართველოს კარიტასი შინმოვლა

სასწავლო- საკონსულტაციო ცენტრის დაფუძნება

საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი ატარებს ტრენინგს შინმოვლის საკითხებზე. სასწავლო ცენტრის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილია საკონსულტაციო საბჭო ქართული და უცხოური პარტნიორი ორგანიზაციების ექსპერტების მონაწილეობით.

ESTABLISHMENT OF TRAINING AND CONSULTACY CENTER

Training and Consultancy Center is established in the frame of the Caritas Georgia Health and Social Care Program to implement Home Care training. Advisory Council composed of experts of Georgian and Foreign partner organizations will facilitate the work of the Training Center.

მემორანდუმი კერძო კოლეჯების ასოციაციასთან

2014 წლის 23 იანვარს საქართველოს კარიტასმა გააფორმა მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, რომელიც აერთიანებს ორმოცდაათზე მეტ პროფესიული სწავლების ცენტრს საქართველოში. ამ შეთანხმების მიზანია შინმოვლის სპეციალისტების მომზადება, შინმოვლის სახელმძღვანელოების, მეთოდური ლიტერატურის და სასწავლო პროგრამების შემუშავება და გამოცემა. საქართველოში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ზრუნვის კულტურის განვითარება და მისი დანერგვის ხელშეწყობა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემაში.

საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრი უზრუნველყოფს ასოციაციის სტუდენტების ტრენინგს შინმოვლის საკითხებში.

MEMORANDUM OF UNDERSTANDING WITH PRIVATE COLLEGES ASSOCIATION OF GEORGI

On January 23, 2014 Caritas Georgia signed Memorandum of Understanding with the Private Colleges Association of Georgia, which brings together more than 50 Professional Education Centers in Georgia. The goal of this cooperation is:

- Training of students in Home Care;
- Development of Home Care training programs, educational and methodological literature and textbooks and their publication;
- Development of culture of Care based on the basic human rights and its introduction to the Healthcare system of Georgia.

The Training and Consultancy Center of Caritas Georgia Health and Social Care Program will insure Home Care training for the students of the Association.

შინმოვლის ტრენინგების პრეზენტაცია

მიმდინარე წლის 1 თებერვალს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციაში ჩატარდა საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის მუშაობის პრეზენტაცია. შეხვედრის მონაწილეებმა - კოლეჯების ასოციაციის წარმომადგენლებმა, მიიღეს სრული ინფორმაცია სასწავლო პროგრამის შესახებ და დასახეს გეგმები შემდგომი თანამშრომლობისათვის.

PRESENTATION OF THE HOME CARE TRAINING

On February 1, 2014 Caritas Georgia Health and Social Care Program arranged a presentation of the Training and Consultancy Center at the Private Colleges Association of Georgia. Representatives of the Professional Education Centers of the Association received full information about the Home Care training program and outlined plans for cooperation.

შინმოვლის კონცეფციის პრეზენტაცია

2014 წლის 28 თებერვალს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრში გაიმართა „საქართველოს ზრუნვის სისტემის განვითარების კონცეფციის“ პრეზენტაცია, რომელიც მომზადებულია საქართველოს კარიტასის, საქართველოს შინმოვლისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციების, ასევე საქართველოს ზიანის შემცირების ქსელის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია ზრუნვის სისტემის განვითარება საქართველოში.

პრეზენტაციას დაესწრო ორმოცზე მეტი ადამიანი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სამედიცინო დაწესებულებებიდან, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა სამინისტროდან. ღონისძიებაზე გაიმართა დისკუსია აღნიშნული კვლევის შედეგების შესახებ და გამოიკვეთა ამ თემაზე მუშაობის საჭიროება.

PRESENTATION OF CARE SYSTEM DEVELOPMENT CONCEPT

On February 28, 2014 at the Center for Training and Consultancy presentation of the assessment “Concept of the Development of Care System in Georgia” was held. This document was prepared by Caritas Georgia, the Home-care coalition and Coalitions of Harm Reduction and Mental Health of Georgia. The purpose of this document is facilitation of development Care system in Georgia .

More than forty representatives of various non-governmental organizations , medical institutions, as well as the Ministry of Labour, Health and Social Protection Ministry attended this presentation.